ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: თავისუფალი სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:შეზღუდული პასუხისმგებლობისსაზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- ■ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ■ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ■ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

- ☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციისექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარე:ნინო ბალანჩივაძე

ავტორიზაციისექსპერტთაჯგუფისწევრი:დავით ლიპარტელიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის, შედეგზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობა, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართვის, სწავლებისა და სწავლის ხარისხის, უცხოენებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების სწავლების შემდგომი გაუმჯობესება, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე სისტემატური ზრუნვა, მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების განვითარება, ლიბერალურ-დადემოკრატიულ განათლების პრინციპებზე დაყრდნობით ინტელექტუალური, მაღალი ზნეობისა და სულის, ფიზიკურად ჯანმრთელი, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე სრულყოფილი პიროვნებების აღზრდა, ინკლუზიურიგ ანათლების დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა, თითოეული მოსწავლის მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისა და შრომით ბაზარზე, კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრებისათვის, საერთაშორისო კავშირების განვითარება და გაფართოება.

სკოლის მთავარი ამოცანაა:პასუხისმგებლობის მქონე, ეროვნული სულისკვეთების, განათლებული ლიდერებისა და მოქალაქეების აღზრდა, ინოვაციური და პროგრესული ცხოვრებისათვის მომზადება. მოსწავლეს გამოუმუშაოს თანამედროვე ხედვა, კრიტიკული აზროვნების უნარი, მისცეს ღრმა ცოდნა, ცოდნის განახლებისა და კვლევისთვის აუცილებელი უნარები. სკოლაში სწავლა ლიბერალური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს, რაც მოსწავლეს ცხოვრებაში გააზრებული არჩევანის გაკეთებისსაშუალებასაძლევს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან დაშეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო როგორც 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას, ისე 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს, რათა,პროგრამების თავისებურებიდან გამომდინარე, შემოწმებულიყო მატერიალური და ადამინური რესურსი.

მისიიდან გამომდინარე, თავისუფალმა სკოლამ პროექტის სახით განსაზღვრა, შეიმუშავა და წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას როგორცზესტაფონში, ისე თბილისის მისამართის კამპუსში.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით წარმოდგენილია და დაზუსტებული:

- სკოლის საათობრივი ბადე;
- სწავლების სამივე საფეხურზე გაკვეთილების დაწყება-დამთავრებისა და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობა;
- შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა სასწავლო მიზნებითა და შეფასების პრინციპებით;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების პრინციპები;
- დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- სავალდებულო სასწავლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისჩამონათვალი;

ეროვნული სასწავლო გეგმისმოთხოვნათა შესაბამისად და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის გათვალისწინებითყველა კლასს ჰყავსდამრიგებელი (აღმზრდელი), რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს როგორც ზოგადი განათლების ეროვნული და სკოლის მისიის მიზნების მიღწევაში, ისე გონებრივი თუ ფიზიკური უნარების განვითარებაში.

სკოლამ, მართალია, 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მხოლოდ პროექტი წარმოადგინა, მაგრამ 2017-2018 სასწავლო წელს მიღწეული შედეგებით ირკვევა, რამდენად შეუძლია სკოლის ადმინისტრაციას, მიაღწიოს დასახულმიზნებს, კერძოდ:

- მისიიდან გამომდინარე, ზესტაფონის კამპუსში განხორციელებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი,რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს შეიძინონეროვნულისასწავლოგეგმითგათვალისწინებულიცოდნა, უნარები დაღირებულებები;
- ეროვნულსასწავლოოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებები;
- სხვადასხვა საგრანტო კონკურსებიროგორც მასწავლებლებისათვის, ისე მოსწავლეებისათვის;
- "თავისუფალი სკოლისა" და "Junior Achievement Georgia"-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული 3 პროგრამა("ჩვენი ოჯახი","ჩვენი ქვეყანა" და „მე თვითონ"), რომლებიც მოიცავენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს.

სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია სკოლის მისიის მიღწევაზე, რაც დასტურდება 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლის ვებ-გვერდზე ასახული აქტივობებითა და ჩატარებული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- 2017-2018 სასწავლო გეგმით;
- ვებგვერდით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

- ჩატარებული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ინტერვიურებით;

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევსმათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება

„თავისუფალი სკოლის" თბილისის კამპუსში ისევე, როგორც ზესტაფონში, განსაზღვრულია 7 საგნობრივი კათედრა, კერძოდ:

1. ქართულიენისადალიტერატურის კათედრა;
2. დაწყებითი კლასების კათედრა;
3. უცხოურიენების (ინგლისურიენა, გერმანული,რუსულიენა) კათედრა
4. მათემატიკის კათედრა;
5. საბუნებისმეტყველოსაგნების კათედრა;
6. საზოგადოებრივმეცნიერებათასაგნების კათედრა;
7. ესთეტიკურიაღზრდისა და სპორტის კათედრა

აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. თითოეული კათედრა მოქმედებს ერთი დებულებით, რომელშიც გაწერილია კათედრის საქმიანობის მიმართულებები, გამოცდილების გაზიარება, სახელმძღვანელოების შერჩევა, პროფესიული განვითარება და ვალდებულებები, შეფასების ღონისძიებების დაგეგმვა, ახალი მიდგომები და საერთო ღონისძიებები, ასევე, კათედრის დოკუმენტაცია და ა. შ

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებთან ერთად საგნობრივი კათედრები პერიოდულად ჩაატარებენ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის სხვადასხვა აქტივობას, გაანალიზებენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს რეიტინგული წერებით და განსაზღვრავენ ცალკეული მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირების ფორმებს (სხვადასხვა კითხვარი, დამატებითი საათები, მშობლებთან მუშაობა და სხვ.) და ა.შ. ამასთანავე, გაირკვა, რომ ურთიერთთანამშრომლობა (კათედრის სხდომები, კვლევები, ღია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

გაკვეთილები,სხვადასხვა პროექტი და აშ.) ზესტაფონსა და თბილისს შორის ჩატარდება როგორც სკაიპის მეშვეობით, ისე გასვლითი ღონისძიებებით.
სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან ერთად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ჭადრაკს (I-IVკლ.), ზოგად უნარებს (XI-XIIკლ.), ფსიქოლოგის საათს (I-XII კლასში - კვირაში 1 საათი), ფინანსურ წიგნიერებას (I-XI კლასი - კვირაში 2 საათი), **IX კლასში** - პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვას - 8 აკადემიური საათი (ლიტერატურა: USAID-ის პროექტი „პროფესიები", ასევე შეხვედრები სხვადასხვა პროფესიების ადამიანებთან და შეძლებისდაგვარად მოკლევადიანი (2-3 დღე) პრაქტიკის გავლა). **XI კლასში**- პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვას - 4 აკადემიური საათი (ლიტერატურა: USAID-ის პროექტი „პროფესიები", ასევე შეხვედრები სხვადასხვა პროფესიების ადამიანებთან და შეძლებისდაგვარად მოკლევადიანი (1-2 დღე) პრაქტიკის გავლა).
XII კლასი არჩევითი საგანია ამერიკისმცოდნეობა.
ამასთანავე, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება სხვადასხვა წრე:

1. ფრენბურთის წრე;
2. მაგიდისჩოგბურთის წრე;
3. ჭადრაკის წრე;
4. გრაფიკულიწრე;
5. ნორჩჟურნალისტთაწრე;
6. თეატრალური სტუდია (I-XII კლასი);
7. ხატვის წრე (I-VI კლასი)
8. ინფორმატიკის წრე (II-IV კლასი)

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლაში განსაზღვრულიაI-IV კლასებშიკვირაში ერთხელ **კითხვის საათის** ჩატარება, IX-XI-XII კლასებში -**პროფესიული ორიენტაციისა** და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, X კლასში - სააღმზრდელო საათის ფარგლებში **საუბრებისა და დისკუსიების**მოწყობა ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე. სპორტის სახეობებიდან შერჩეული აქვს **მაგიდის ჩოგბურთი,ფრენბურთი და ჭადრაკი.**

საათობრივი ბადით დადგინდა, რომ III-IVკლასებში არ ისწავლებოდა „მე და საზოგადოება", ამასთანავე, გაირკვა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შემუშავდა 2011-2016 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. აქედან გამომდინარე, სკოლის დირექტორმა სკოლის წესდების საფუძველზე გამოსცა ბრძანება, განეხორციელებინათ სათანადო ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში(**დანართი N1 დირექტორის ბრძანება N1/k-24)**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოზარდის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე, შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- კათედრის დებულებით;
- **დანართით N1 დირექტორის ბრძანება N1/k-24ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე(ერთ ფურცლად);**
- ინტერვიურებით.

1.3.სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო ასპექტების გათვალისწინებითა და მის საფუძველზე შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის შემდეგ შედგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ამასთან ერთად, განისაზღვრება სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის სახე: სრული თუ ნაწილობრივი ჩართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

სკოლის დირექცია და საგნების მასწავლებლები, სასწავლო გეგმის ფარგლებში, განსაზღვრავენ სასწავლო მიზნების მიღწევის გზებს, სასწავლო აქტივობებსა და სხვა მიზნობრივ ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. სასწავლო წლის განმავლობაში განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

თავისუფალი სკოლის თბილისის კამპუსში არსებული ინკლუზიური განათლების პროგრამა იდენტურია იმ პროგრამისა, რომელიც შემოწმდა თავისუფალი სკოლის ზესტაფონის კამპუსში განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიურებით;
- ინდივიდუალურისასწავლოგეგმის ჩარჩო დოკუმენტით.

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

„თავისუფალისკოლა" ფუნქციონირებს 2011 წლიდან. სკოლაწარმატებითახორციელებს საგანმანათლებლოსაქმიანობასდაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესასრულებლად. 2016 წელს სკოლას 6 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 240-ით. ამჟამად, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ადმინისტრაციამ გადაწყვიტა სასწავლო პროცესი განეხორციელებინა თბილისის კამპუსშიც და გაეზარდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 300-ით. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო როგორც 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას, ისე 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულ შეფასების სიტემას, რათა გარკვეულიყო, რამდენად მოახერხა სკოლის ადმინისტრაციამ 2016 წელს მიღებული ავტორიზაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. კერძოდ:

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი იყო ზოგადი, არ იყო მორგებული კონკრეტული შემაჯამებელი დავალების მოთხოვნებთან. ამასთანავე, ძირითადად იყო ტესტური (ქიმია,გეოგრაფია, მათემატიკა) დავალებები(დახურული კითხვები), როცა ეროვნული სასწავო გეგმის მე-18 მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნა ითვალისწინებდა შემდეგს:ა)სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო შემაჯამებელი დავალებების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო,ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და სხვ.) დ) პუნქტის მიხედვით კი თითოეული მასწავლებელი ვალდებული იყო შეეგროვებინა და შეენახა მის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, ამასთანავე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული დავალებების რაოდენობრივი თუ თვისობრივი ანალიზი.

  გარდა ამის, I-IV კლასებში მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელის ნაცვლად იყო განმსაზღვრელი და, ამასთანავე, ტარდებოდა სემესტრული გამოცდები.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელდავალებებს, მათ შეფასებასა დაანალიზს, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებანი:

- **შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით არის გაკეთებული;**
- **შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ტესტურიაარა მარტო დახურული კითხვებით, არამედ ღია კითხვებითაც, ამასთანავე,ქართულში მოსწავლეები წერდნენესეს, ტექსტის რედაქტირებასა და თხზულებას;.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- **მასწავლებლის მიერ შემუშავებული ანალიზები მაინც ზოგადია, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას.**

საბოლოოდ, **სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია,** კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაში.

- ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის თითოეულ საგანში სავალდებულოა, შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი;
- შემაჯამებელი დავალება შინაარსითა და სტრუქტურით იძლეოდეს შედეგის მიღწევის საშუალებას **(ე.ს.გ. მუხლი 18);**
- სასურველია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ასახავდეს მოსწავლის მიღწევებსა და მათ საჭიროებებს.

სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს განსაზღვრულ რეკომენდაციებს და ახალი სასწავლო წლიდან გამოიყენებს შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვან სტანდარტის შესაბამის ფორმებს.

მოსწავლეთა ნაშრომების დათვალიერებით I-IV კლასებში მოსწავლეთა შეფასება იყო განმავითარებელი.

სკოლაში, მართალია,აღარ ტარდებოდა სემესტრულიგამოცდები, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის კონტროლის მიზნით ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო წლის მანძილზე იგეგმება შემდეგი აქტივობები (სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გვ 18) :

- **V-XII კლასებში ჩატარდება სასწავლო წლის პირველი სემესტრის შემაჯამებელი წერები (შემაჯამებელ წერას აქვს შემაჯამებელი დავალების სტატუსი);**
- **VII-XII კლასებში საგნობრივ კათედრებთან ერთად დირექცია ჩაატარებს მონიტორინგს სასწავლო წლის პირველ (ნოემბერი) და მეორე (მარტი) სემესტრებში(მონიტორინგზე მიღებულ ქულას აქვს შემაჯამებელი დავალების ქულის სტატუსი)**
- **წლის ბოლოს გამოცდები ჩატარდება VII-VIII-IX-X კლასებში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასადაინგლისურენაში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- **სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება სასწავლო წლის შემაჯამებელი გამოცდები VII-XII კლასებში:**

VIIკლასებში -ისტორისა და რუსულ ენაში
VIIIკლასებში - გეოგრაფისა და რუსულ ენაში
IXკლასებში - სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება მეათე კლასშიმისაღები გამოცდები ისტორიასა და ქიმიაში.
Xკლასებში - ბიოლოგია, ფიზიკა
XI და XIIკლასებში - საატესტატო გამოცდები
სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში განსაზღვრული იყოწლის ბოლოს გამოცდების ჩატარება, ერთი მხრივ, VII-VIII-IX-X კლასებში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში, მეორე მხრივ, კისასწავლო წლის შემაჯამებელი გამოცდები VII-XII კლასებში:

VIIკლასებში - ისტორისა და რუსულ ენაში
VIIIკლასებში - გეოგრაფიასა, რუსულიენაში
Xკლასებში - ბიოლოგიასა დაფიზიკაში

IXკლასებში - სასწავლო წლის ბოლოს მეათე კლასში მისაღები გამოცდები ისტორიასა და ქიმიაში(**დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გვ18).**
აღნიშნული დოკუმენტით გამოდის, რომ მაგ.: VII კლასებში მოსწავლეები აბარებენ გამოცდებს არა მარტო ისტორიასა დარუსულ ენაში, არამედ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში; VIIIკლასებში - გეოგრაფიასა დარუსულ ენასთან ერთად ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკასა და ინგლისურ ენას, რაც ეწინაარმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმას კერძოდ *მუხლი 36. (გამოცდის ტიპები) 9. სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც.*
სასკოლო გამოცდებზე მიღებულ შეფასებას აქვს დამოუკიდებელი ქულის სტატუსი.

სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით გამოსცა ბრძანება სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ცვლილებების შესახებ (**დანართი N1 დირექტორის ბრძანება N1/k-24 ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე)**

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიურებით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით;
- ინტერვიურებით;
- **დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;**
- **დანართი N1 დირექტორის ბრძანებით N1/k-24ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე (ერთ ფურცლად);**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:
სკოლის შინაგანაწესსა და სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც თბილისის შენობის კამპუსში სასწავლო პროცესის განხორციელებისთანავე ამოქმედდება.

კლასის დამრიგებელი ინდივიდუალური საუბრებით ან მიმოწერით(დღიური, ელექტრონულიჟურნალი, მშობელთაკრებები) ერთი მხრივ, მიაწვდის სათანადო ინფორმაციას მშობელს საკუთარი შვილის გაცდენებისა და დაბალი აკადემიური მოსწრების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, გაუწევს შესაბამის რეკომენდაციებს აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- სადამრიგებლო პროგრამით;
- ინტერვიურებით;
- ვებგვერდითhttp://freeschool.edu.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

2016 წელს ზესტაფონის შენობის კამპუსში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შესწავლილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების ის მექანიზმები, რომლებიც მნიშვნელოვანია სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისათვის.

სასწავლო წლის განმავლობაშიგაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების მიერ სხვადასხვა კითხვარის შევსება, მათი განხილვა და გაანალიზება სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტურობის, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების დროული გამოვლენისა და არსებული სიტუაციის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

აქედან გამომდინარე, სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება-განვითარების სისტემის გაცნობითა და ინტერვიურებით გაირკვა, რომ თბილისის შენობის კამპუსში სასწავლო პროცესის განხორციელებისთანავე ამოქმედდება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების ყველა ის მექანიზმი, რომლებიც შემუშავებულია სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ.

დასტურდება:

- ინტერვიურებით;
- სტრატეგიული დაგეგმვის SWOT ანალიზის დოკუმენტით.
- ხარისხის მართვის სამსახურის დებუებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთ;

2. მატერიალური რესურსი

2.1დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი,მათ შორის:

ა)ერთ მისამართზე არსებულისაერთო ფართი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

შ.პ.ს. თავისუფალი სკოლა მდებარეობს ქ. ზესტაფონში, დავით აღმაშენებლის II შესახვევის N3-ში დაქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N52-ში.

ქ. ზესტაფონში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 8374 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 6 შენობა ნაგებობა:
შენობა ნაგებობა № 1, განაშენენიანების ფართით - 304 კვ.მ;
შენობა ნაგებობა № 2, განაშენენიანების ფართით - 322.92 კვ.მ;
შენობა ნაგებობა № 3, განაშენენიანების ფართით - 258.კვ.მ;
შენობა ნაგებობა № 4, განაშენენიანების ფართით - 176.19 კვ.მ;
შენობა ნაგებობა № 5, განაშენენიანების ფართით - 32 კვ.მ ;
შენობა ნაგებობა № 6, განაშენენიანების ფართით - 32 კვ.მ
აღნიშნული ფართის მესაკუთრეა ავთანდილ კიკნაძე, ხოლო შპს „თავისუფალი სკოლა" 430024939 ქირავნობის ხელშეკრულებით2024 წლის 1 სექტემბრამდე ვადით, სარგებლობს 716 კვ.მ საერთო ფართის მქონე 4 შენობა ნაგებობით: 1) ორსართულიანი შენობა 361 კვ.მ ფართით, 2) ერთსართული შენობა 258 კვ.მ ფართით 3) ერთსართულიანი 65 კვ.მ ფართით და 4) 32 კვ.მ ფართით.
ქ. თბილისში არსებული ფართი დაწესებულებას აქვს იჯარით 7 წლის ვადით (2025 წლის 01 ივლისამდე). შენობა განთავსებულია 1075 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.036.103) და შედგება ნახერსარდაფისაგან (352.21 კვ.მ), I სართულისაგან (358.05 კვ.მ), ანტრესოლისაგან (247.69 კვ.მ), II სართულისაგან (355.11 კვ.მ) და მანსარდისაგან (269.70 კვ.მ). შენობის სრული ფართი შეადგენს 1582.76 კვ.მ-ს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის II შესახვევი, N3	716
2	ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. N52	1582.76

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- ქირავნობის ხელშეკრულებებით;
- იჯარის ხელშეკრულებით.

ბ)საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

ქ. ზესტაფონში მდებარე სკოლის N1 შენობაში არის 10 საკლასო ოთახი და კომპიუტერული ლაბორატორია. საკლასო ოთახებში განთავსებულია 89 ინდივიდულაური მერხი და სკამი, მასწავლებლის მაგიდები, სკამები და სასკოლო დაფები.
ამავე მისამართზე არსებულ N2 შენობაში არის 3 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სასადილო, საკონფერენციო (რომელსაც სკოლა იყენებს ასევე სპორტულ დარბაზად), სამასწავლებლო და დირექტორის ოთახი.საკლასო ოთახებში განთავსებილია23 ინდივიდუალური, ხოლო ლაბორატორიაში 16ორადგილიანიმერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით (ჯამში55 სკამი). საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მასწავლებლის მაგიდებით და სასკოლო დაფებით.
N3 შენობაში არის სპორტული დარბაზი სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის შესაბამისი ინვენტარი, რომლის ერთი მხარე არის საწყობი სადაც ვიზიტის დროს დასაწყობებული იყო 94 ინდივიდულაური მერხი და სკამი.
N4 შენობაში განთავსებულია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი.
საკლასო ოთახებში ჯამში განთავსებულია 206 ერთადგილიანი 16 ორადგილიანი მერხი სკამებით, ხოლო დოკუმენტურად, დაწესებულებას უდასტურდება 250 ინდივიდულაური მერხი და სკამი.
ქ.თბილისში არსებული შენობის ნახევარსარდაფში განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი (საკონფერენციო) სასადილო, სამზარეულო, სარეკრეაციო სივრცე და 1 საკლასო ოთახი; I

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

სართულზე განთავსებულია დირექტორის ოთახი, კომპიუტერული ოთახი და 2 საკლასო ოთახი. აღნიშნული საკლასო ოთახები 3 მხირდან არის შემინული(დანართი 3), რაც შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს მოსწავლეებისთვის. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით იგეგმება მინებზე სპეციალური დამცავი ფირის გადაკვრა. ანტრესოლში განთავსებულია ექიმის ოთახი, 4 საკლასო ოთახი (მათგან 2 ოთახი პირველი სართულის მსგავსად შემინულია) და გამოყოფილია სივრცე ღია ბიბლიოთეკისთვის. მე-2 სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი და ღია სივრცე სამასწავლებლოსთვის. მანსარდაზე განთავსებულია 3 საკლასო ოთახი. შენობაში არის 17 საკლასო ოთახი.

სკოლაში განთავსებულია 322 ერთადგილიანი და 6 ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით. ყველა საკლასო ოთახში არის დაფა და მარკერი.

ჯამში ორივე ფართზე დაწესებულებას უდასტურდება 528 ინდივიდუალური და 22 ორადგლიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით, ხოლო დოკუმენტურად 572 ინდივიდუალური და 22 ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით (დანართი 4 და დანართი 6).

დასტურდება:

- ვიზულაური დათვალიერებით;
- ქირავნობის, ნასყიდობის და ჩუქების ხელშეკრულებებით;
- ავეჯის მიღება-ჩაბარების აქტით;
- შიდა აზომვითი ნახაზით.

გ)სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

ქ. ზესტაფონში მდებარე ფართზე სკოლას აქვს საკონფერენციო დარბაზისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელსაც ასევე იყენებს სპორტულ დარბაზად, ასევე ცალკე მდგომ შენობაში არის მაგიდის ჩოგბურთისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელიც ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მ.ა.

გამოიყენება სპორტულ დარბაზად. დაწესებულებას ასევე გააჩნია ღია სპორტული მოედანი.

ქ. თბილისში არსებულ ფართზე ნახევარსარდაფში განთავსებულია დარბაზი, რომელსაც დაწესებულება სპორტული აქტივობებისა და კონფერენციებისათვის გამოიყენებს.

სკოლას აქვს შერჩეული სპორტის სახეობისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩუქების და ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- შიდა აზომვითი ნახაზებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

ქ. ზესტაფონში არსებულ ფართზე სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია ერთსართულიან შენობაში (N2), რომელიც აღჭურვილია შპს „ინსტა-ჯორჯიასაგან" შეძენილი ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიისათვის განკუთვნილი ხელსაწყოებით. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი. ოთახში განთავსებულია ორადგილიანი მერხები. ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

ქ. თბილისში არსებულ შენობაში ლაბორატორია განთავსებულია ნახევარსარდაფში. ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში არ იყო განთავსებული ლაბორატორიული ხელსაწყოები. დაწესებულებსი ხელმძღვანელმა წარმოადგინა ლაბორატორიის შესყიდვის მიზნით შპს „ჯეო დეკორთან" 30 ივლისს გაფორმებული #013

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ხელშეკრულება, ასევე თანხის ნაწილის გადარიცხვის ქვითრები(დანართი 5). ხელშეკრულების მიხედვით ლაბორატორიის ჩაბარება უნდა განხორციელდეს არაუგიანეს 2018 წლის სექტემბრისა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შპს „ინსტა-ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შპს „ჯეო დეკორთან" გაფორმებული ხელშეკრულებით;
- თანხის გადარიცხვის ქვითრებით.

2.2სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

ორივე მისამართზე არსებული შენობების საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. შენობებში არის გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე განკუთვნილი სველი წერტილები, მათ შორის არის ეტლით მოსარგებლე პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილები.
სკოლის შენობები თბება ცენტრალური გათბობის სისტემით.
ვიზიტის პერიოდში წყლის, გაზის და ელექტროენერგიის მიწოდებაზე ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული თავისუფალ სკოლასა და შესაბამის მომწოდებელს შორის, თუმცა მეიჯარესა და სკოლას შორის გაფორმებული ავეჯის მიღება-ჩაბარების აქტში (დანართი 6) აღნიშნულია მრიცხველების გადაბარება. დაწესებულების განცხადებით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით, უახლოეს დღეებში მიმართავდნენ ბუნებრივი აირის, წყლისა და ელექტრო ენერგიის მომწოდებლებს. ვიზიტის პერიოდში კომუნალური დავალიანება დაწესებულებას არ ერიცხებოდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომუნალური გადასახადების ქვითრებით;
- ავეჯის მიღება ჩაბარების აქტით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

ქ. ზესტაფონში სკოლის ბიბლიოთეკა და სამკითხველო განთავსებულია N4 შენობაში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 2220 ერთეულს, მასში არის საბაზო და საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილი ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, რომლებიც თაროებზე განთავსებულია კლასებისა და თემების მიხედვით.
ქ. თბილისში არსებულ ფართში სკოლის ბიბლიოთეკისათვის ანტრესოლში გამოყოფილია სივრცე, თუმცა ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკა ჯერ არ იყო მოწყობილი. ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ინვენტარი და წიგნები განთავსებული იყო პირველ სართულზე არსებულ ერთ-ერთ საკლასო ოთახში. დაწესებულებამ წარმოადგინა 235 წიგნის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები.
ვიზიტის პერიოდში არ იყო შეძენილი დაწყებითი საფეხურის კლასების გრიფირებული სახლემძღვანელოები რადგან ამ დროისთვის აღნიშნული სახელმძღვანელოები ჯერ არ იყო დაბეჭდილი.
ბიბლიოთეკის წიგნების ელექტრონული ჩამონათვალი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის სპეციალური ფორმულარები მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მ.ა.

- ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- საინვენტარო წიგნით;
- ფორმულარებით.

2.4სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

ქ. ზესტაფონში, სკოლის შესასვლელი ადაპტირებულია. მეორე სართულზე ასასვლელად სკოლას აქვს დასაკეცი ხის პანდუსები.

ქ. თბილისში არსებულ ფართზე სკოლას ნახევარსარდაფში, პირველ სართულსა და ანტრესოლში მოსახვედრად გამოყენებული აქვს მოსახსნელი პანდუსები. თუმცა ეტლით მოსარგებლე პირს მე-2 სართულზე და მანსარდაზე მოხვედრა დამოუკიდებლად გაუჭირდება, რადგან არ არის პანდუსები და ასასველი კიბის ფორმიდან გამომდინარე შეუძლებელიც იქნება მისი გამოყენება. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით სპორტული დარბაზი, ლაბორატორია, კომპიუტერული ოთახი და ბიბლიოთეკა იმ სართულებზეა განთავსებული სადაც ეტლით მოსარგებლეს პანდუსის საშუალებით ექნება დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა. სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით მათ მიწერილი აქვთ მერიისთვის წერილი, რომლის მიხედვით დაგეგმილია ანტრესოლიდან მე-2 სართულზე მოსახვედრად კიბის დამონტაჟება, რომელზეც შეიძლება პანდუსის მოწყობა.

სკოლაში თბილისშიც და ზესტაფონშიც არის ადაბტირებული სველი წერტილები. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით.

2.5სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

ქ. ზესტაფონში სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია ინფორმაციული ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი ოთახი, რომელიც აღჭურვილია 11 კომპიუტერით (ვიზიტის დროს 2 კომპიუტერს კვების ბლოკი ჰქონდა დაზიანებული). სკოლას ასევე გააჩნია 4 კომპიუტერი და 2 ნოუთბუქი.
ქ. თბილისში კომპიუტერული ოთახი განთავსებულია პირველ სართულზე. თბილისში სკოლას აქვს 15 ახალი პერსონალური კომპიუტერი, რომელთა განთავსება მიმდინარეობდა ვიზიტის დროს.
სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი - www.freeschool.edu.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (სკოლის სტრუქტურა, სიახლეები, ფოტოგალერია, პროექტები და სხვა). დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს "პროსერვისთან". სკოლას ინტერნეტით უზრუნველყოფს შპს„Georgianairlink"

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩუქებისა და შესყიდვების ხელშეკრულებებით;
- მომსახურების მიწოდების ხელშეკრუოლებებითა და გადახდის ქვითრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.6სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ)სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ)წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაფა. ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და ევაკუაციის გეგმები. ევაკუაციის გეგმები დამზადებულია შპს „ნაპერწკალის" მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვით შპს „ნაპერწკალს" აქვს სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაციების მონტაჟის უფლება (დანართი 7), თუმცა ქ. თბილისში არსებული შენობის მანსარდის ევაკუაციის გეგმა არ შეესაბამება საკლასო ოთახების განლაგებას (დანართი 8). აღნიშნული სართულის გეგმა მომზადებულია შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით. სკოლას მანსარდაზე აქვს გაკეთებული ტიხრები, რითაც შექმნილია საკლასო ოთახები. შესაბამისად, მანსარდის რეალური არსებული ოთახების განლაგება განსახვავდება შიდა აზომვითი ნახაზზე და ევაკუაციის გეგმაზე წარმოდგენილი სურათისგან.

ქ. ზესტაფონში მდებარე სკოლის ბიბლიოთეკაში გამოყოფილია ადგილი საჭირო მედიკამენტებითა და მოსასვენებელი საწოლით. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დახმარების გასაწევად აუცილებელი პრეპარატები. დაწესებულებას ემსახურება ექთანი.

ქ. თბილისში არსებულ შენობაში, ანტრესოლში გამოყოფილია ოთახი ექიმისათვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო კარადა, მოსასვენებელი საწოლი და მედიკამენტები.

სკოლაში შემუშავებულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურების დებულებები, ასევე სკოლის უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები.

სკოლის პერიმეტრი თბლისშიც და ზესტაფონშიც კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, რომელთა ჩვენების ასახვა კომპიუტერულ კაბინეტში განთავსებულ მონიტორზე ხდება. კამერების განლაგება იძლევა საშუალებას გაკონტროლდეს სკოლის პერიმეტრი, ხოლო მათი პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- კამერების ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- სახანძრო უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი რესურსების ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- მედიკამენტების ნასყიდობის ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- შიდა აზომვითი ნახაზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.7სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას აქვს წესდება, რომლის მიხედვით საზოგადოებას მართავს დირექტორი და ენიჭება საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი უფლება-მოსილება. წესდების მიხედვით, დირექტორის უფლებამოსილებები შეიძლება განისაზღვროს საზოგადოების შინაგანაწესით. სკოლის შინაგანაწესი აღწერს თანამშრომლების უფლება-მოვალეობებს, დისციპლინური გადაცდომებისათვის გათვალისწინებულ სახდელებს, მოსწავლის უფლება მოვალეობებს, ქცევის წესებსა და დისციპლინური სახდელებს, მშობლის უფლება-მოვალეობებს, მათი ინფორმირების საშუალებებს, თანამშრომელთა და მოსწავლეთა წახალისების ფორმებს და ა. შ.
დაწესებულებამ წარმოადგინა სტრუქტურის პროექტი, რომელშიც ასახულია სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული და მათი ურთიერთმიმართებანი თბილისსა და ზესტაფონში. სტრუქტურის მიხედვით დაწესებულებას ეყოლება დამფუძნებელი, რომლის დაქვემდებარებაში იქნება დირექტორი, რომელიც მართავს სკოლას თბილისსა და ზესტაფონში. სტრუქტურაში წარმოდგენილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის ადგილმდებარეობა.

დასტურდება:

- სკოლის წესდებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- შპს თავისუფალი სკოლის სტქრუქტურის პროექტით.

2.8შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი და სტრატეგიული განვითარების (2017 -2023 წწ) გრძელვადიანი გეგმა. დოკუმენტები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტში გამოკვეთილია სკოლის განვითარების პრიორიტეტები, გაწერილია ამოცანები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. წარმოდგენილ გეგმებში გაწერილია სკოლის ხედვა და სამომავლო ამოცანები.

დასტურდება:

- ერთწლიანისამოქმედოგეგმის პროექტით;
- სკოლის განვითარების 6 წლიანი სტრატეგიული გეგმით

2.9დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების შესახებ ინსტრუქციის პროექტი, რომელიც მოიცავს: შემოსული კორესპონდენციისა და განცხადებების რეგისტრაციის აღრიცხვის განხილვისა და პასუხის მომზადების წესებს, გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესებს, ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესებს. საქმის წარმოების წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტზე, მათ შორის, ელექტრონული ფორმით შექმნილ დოკუმენტებზეც. წესი შესასრულებლად სავალდებულოა სკოლაში დასაქმებულიყველაპირისათვის.
დაწესებულებაში კორესპონდეციების აღრიცხვას ახორციელებენ ოფის-მენეჯერები. ერთი ქ. ზესტაფონში, ხოლო მეორე ქ. თბილისში. პროექტის მიხედვით სკოლაში ბრძანებები აღირიცხება ცენტრალიზებულად ბრძანებისათვის დადგენილი აღრიცხვის წესის შესაბამისად, ხოლო შემოსული და გასული წერილები აღირიცხება შესაბამისი მისამართების თანახმად ცალ-ცალკე დადგენილი ნომენკლატურის თანახმად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულებაში ინახება სასკოლო კორესპონდენციები, რომლებიც დანომრილი და აკინძულია თანმიმდევრულად, მათი წარმოების თარიღების მიხედვით.
დაწესებულებაში არის: შემოსული და გასული დოკუმენტაციის, საკადრო და საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები.

დასტურდება:

- სკოლის წესდებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- თავისუფალის სკოლის ინსტრუქციის პროექტით საქმის წარმოების შესახებ
- რეგისტრაციის ჟურნალებით;
- საკადრო ბრძანებების საქაღალდით;
- საერთო ბრძანებების საქაღალდით;
- შემოსული დოკუმენტაციის საქაღალდით;
- გასული დოკუმენტაციის საქაღალდით;

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:
სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი. საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით კი - შემდეგი თანამშრომლები: 41 პედაგოგი და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი, კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, უსაფრთხოების სამსახური, ოფისმენეჯერი, ისტმენეჯერი, სამედიცინო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მ.ა.

ფსიქოლოგიური სამსახური(ექთანი და ფსიქოლოგი) პერსონალი, ტექნიკური მენეჯერი და სხვ. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას ემსახურება სულ 72 თანამშრომელი.

ზესტაფონის კამპუსში -20 მასწავლებელი ახორციელებს სასწავლო პროცესს (მათგან 7 უფროსი მასწავლებელია და 13 -პრაქტიკოსი) თბილისის კამპუსში- 21 მასწავლებელი (მათგან 18 უფროსი მასწავლებელი და 3 პრაქტიკოსი). თითოეულ მათგანთან დადებულია ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

დასტურდება:

- სამტატო განრიგით;
- ხელშეკრულებებით;
- შინაგანაწესით;
- პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების პირადი საქმეებით;
- eSchool-ის ბაზით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

3.2სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოსკანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, **2018-2019** სასწავლო წელს მოქმედ მასწავლებელთა პირადი საქმეები შეიცავს ყველა საჭირო ჩამონათვალს, რაც მოითხოვება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად: მათი განათლების დამადასტურებელი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა დოკუმენტების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ყველა მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება:

- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პედაგოგთა სერთიფიკატებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პირადი საქმეებით, დიპლომებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და განთავისუფლების წესები, ასევე, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.თუმცა არ იყო განსაზღვრული ჩატარებული გაკვეთლის კრიტერიუმები. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება შინაგანაწესში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით **(დანართი N9 სკოლის შინაგანაწესში ცვლილებასთან დაკავშირებით)**

მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისება ხორციელდება დამფუძნებლის გრანტებითა ბრძანებით. სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ვაკანტურ ადგილებზე შერჩევა ხდება კონკურსის წესით.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- ინტერვიურებით;
- **დანართი N9 სკოლის შინაგანაწესში ცვლილებასთან დაკავშირებით(ერთ ფურცლად)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სახელშეკრულებო ვადისა და დაკავებული თანამდებობის მითითებით.

ხელშეკრულებები შინაარსობრივად უკვე შესაბამისობაშია შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასტურდება:

- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- თავისუფალი სკოლის სტრუქტურით
- პერსონალთა პირადი საქმეებით;
- სკოლის შინაგანაწესით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლასშემუშავებულიაქვსადამიანურირესურსებისპროფესიულიგანვითარებისმექანიზმები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით **სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“.** სკოლას ჰყავს ფასილიტატორი და სკოლაში შექმნილია სკოლის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. სკოლაში არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასების ჯგუფის მუშაობის წესი, ხორციელდება მასწავლებლებისა და ფასილიტატორების მუშაობის მონიტორინგი.

დასტურდება:

- ხელშეკრულებებით;
- კათედრების ოქმებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმებით;
- სერთიფიკატებით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა, ყველა მოსწავლემ, მასწავლებელმა და კოლექტივის ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს.

მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის ღონისძიებასა და პროექტში. წარმოდგენილი მასალებისა და ვებგვერდის დათვალიერებით ჩანს, რომმოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინტერესებიდან გამოდინარე, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების განვითარება.

როგორც მასწავლებლებს, ისე სკოლის სხვა თანამშრომლებს ახასიათებთ გუნდური მუშაობის პრინციპი.ეს ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლელობათა მაქსიმალურ გამოვლენას.

დასტურდება:

- მასწავლებლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ვიზუალური დათვალიერებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი N1 1 (ერთი ფურცელი- დირექტორის ბრძანები N1/k-24ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე;
დანართი N2 55(ორმოცდათხუთმეტი) ფურცელი-სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
დანართი N3 – 9 (ცხრა) ფურცელი - შენობის ფასადის ფოტო და შიდა აზომვითი ნახაზი
დანართი N4 – 32 (ოცდათორმეტი) ფურცელი - მერხებისა და სკამების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
დანართი N5 – 18 (თვრამეტი) ფურცელი - ლაბორატორიის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
დანართი N6 – 10 (ათი) ფურცელი - ავეჯის მიღება-ჩაბარების აქტი
დანართი N7 – 1 (ერთი) ფურცელი - შპს „ნაპერწკალის" საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე N3494 სახელმწიფო ლიცენზიის დანართი
დანართი N8 – 5 (ხუთი) ფურცელი - შენობის შიდა აზომვითი ნახაზი
დნართი N9სკოლის შინაგანაწესში ცვლილებასთან დაკავშირებით(ერთ ფურცლად)

თბილისი

თარიღი 22.08.2018 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

მ.ა.